პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 196 (4706)

1972 წ. 3 ოქტომბერი, სამშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## საპატიო წოდება

მრავალი წლის მანძილზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებების კვალიფიციური მსაჯობისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა „სპორტის საპატიო მსაჯის“ წოდება მიანიჭა ვერა ივანეს ასულ უიფიანს („დინამო“, თბილისი).

წოდება „სპორტის საპატიო მსაჯი“ 1971 წელს იქნა შემოღებული სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დადგენილებით. იგი ენიჭება საკავშირო კატეგორიის მსაჯებს, რომელთაც მრავალი წლის განმავლობაში აქტიური და უმწიკვლო მსაჯობისა და საორგანიზაციო მუშაობის სტაჟი აქვთ.

## როგორ ემზადებით ზამთრის სეზონისთვის?

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, მშდ ახალი კომპლექსის ჩაბარებისთვის უკეთ მზადებისა და ამ სამზადისისთვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ დაადგინეს, რომ ამა წლის 1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ჩატარდეს ზამთრის სეზონისთვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მზადყოფნის რეიდი-შემოწმება.

რეიდის მიზანია შემოწმდეს არსებული სპორტული ბაზების, ნაგებობებისა და მოედნების მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობანი, სპორტული აღჭურვილობისა და ინვენტარის მდგომარეობა, ახალი მოედნებისა და დაბრკოლებათა ზოლების მშენებლობა, ფიზკულტურასა და სპორტში ჭაბუკებისა და ქალიშვილების, ბავშვებისა და მოზარდების ჩაბმის დონე, მათი რეგულარული მეცადინეობა სამხედრო-ტექნიკური მომზადების წრეებში, მასობრივი სტარტების მოწყობა ახალი კომპლექსისთვის მოსამზადებლად და ნორმატივების ჩასაბარებლად (ამ ღონისძიების დევიზია: „ყოველი პიონერი და კომკავშირელი, ჭაბუკი და ქალიშვილი — მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, სპორტსმენი-თანრიგოსანი“), დასვენების ზონების, ტურისტული ბაზების, აგრეთვე, უქმე და უქმესწინა დღეებში სპორტული ნაგებობების ეფექტური გამოყენება.

კომკავშირისა და ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ამ რეიდებში კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების, „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბებისა და საგუშაგოების, აგრეთვე, სპორტსმენების, მწვრთნელების, ფიზაღზრდის სპეციალისტების, ფიზკულტურის მასწავლებლებისა და ფართო საზოგადოებრივი აქტივის ჩაბმა.

კომკავშირისა და ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ გულდასმით განიხილონ რეიდის შედეგები, 20 ნოემბრისთვის კი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში წარადგინონ შესაბამისი ინფორმაცია.

## ფრე დაძაბული ბრძოლის შემდეგ

პრაღა, 30 სექტემბერი. კანადის უძლიერეს პროფესიონალ ჰოკეისტთა ნაკრები მოსკოვში ჩატარებული მატჩების სერიის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქს ესტუმრა — დღეს აქ საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან.

კანადელებთან მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრამ განუზომელი ინტერესი გამოიწვია. ბრძოლა მართლაც უაღრესად მძაფრი და მიმზიდველი გამოდგა. პირველ პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები შემკრთალი ჩანდნენ კანადელთა პრესტიჟის წინაშე, ერთობ გაუბედავად და შებორკილად მოქმედებდნენ. სტუმრებმა, ცხადია, დაუსჯელად არ დატოვეს მსოფლიო ჩემპიონთა ასეთი შიშნარევი თამაში და ორჯერ აიღეს მათი კარი: ჯერ სავარმა გაიტანა შაიბა, მერე კი პ. მაჰოვლიჩმა.

მეორე პერიოდიდან მოყოლებული, მასპინძლებმა როგორღაც ერთბაშად მოიხსნეს ბორკილები და ტემპიანი, კომბინაციური თამაშით მძაფრად შეუტიეს მეტოქეს — ტშიასნიმ ორი შაიბა გაიტანა და ანგარიშიც გათანაბრდა.

ასევე მწვავედ წარიმართა მესამე პერიოდი. მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა მეტოქის კარში მესამე შაიბა მოათავსეს, პროფესიონალებმა თავბრუდამხვევი ტემპი განავითარეს, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ცალკეული კანადელი ჰოკეისტების უბადლო ოსტატობა. თამაშის დამთავრებამდე 4 წამი იყო დარჩენილი, რომ სტუმართა ერთ-ერთი მორიგი მძაფრი შეტევის შემდეგ პარიზემ ანგარიში გაათანაბრა — 3:3.

ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი. კანადელებმა უკვე მერამდენედ დაამტკიცეს, რომ გამარჯვებისკენ სწრაფვა და მთელი მონდომებით თამაში მხოლოდ მაშინ უნდა შეწყდეს, როცა საფინალო სირენა გაისმის.

### 42:40

როგორც ცნობილია, კანადელმა პროფესიონალმა ჰოკეისტებმა, საბჭოთა კავშირის გარდა, სამი შეხვედრა გამართეს შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებთან. ამ მატჩებში ერთზე მეტი შაიბა არავის გაუტანია. თითო შაიბა გაიტანეს ჰენდერსონმა, ფ. ესპოზიტომ, კლარკმა, პარკმა, კეშმენმა, ჰედფილდმა, ოურმა, მარტინმა, სავარმა, პ. მაჰოვლიჩმა და პარიზემ.

საბჭოთა კავშირის ნაკრებთან რვა შეხვედრის ჩათვლით ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტები არიან ჰენდერსონი და ფ. ესპოზიტო — 8-8. შემდეგ მოდიან: კურნუაიე, კლარკი, პარიზე — 3-3, პ. მაჰოვლიჩი, დ. ჰალი, პარკი — 2-2, ფ. მაჰოვლიჩი, რატელი, პერო, გოლდსუორსი, ჟილბერი, უაიტი, კეშმენი, ჰედფილდი, ოური, მარტინი, სავარი.

სულ კანადელებმა გაიტანეს 42 შაიბა, 40 კი საკუთარ კარში მიიღეს.

## ჩვენი დიდი [illegible]

### სპორტული კვირა დღე

1 ოქტომბერს ვოროშილოვგრადში მოეწყო პირველი საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე ბატუტზე ხტომაში. სარბიელზე გამოვიდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 150 სპორტსმენი. პრიზი პირველებმა ორენბურგელმა გ. ზარშჩიკოვამ და ლვოველმა ა. ვოლინკინმა მოიპოვეს. სინქრონულ ხტომაში გაიმარჯვეს ზარშჩიკოვამ და ო. სტარიკოვამ (ტოლიატი), ს. ლობანოვმა და ნ. შმელიოვმა (ორივე — სვერდლოვსკი).

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები.

* * *

იმავე დღეს რიგაში დამთავრდა ლატვიის ღია ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა ბულგარეთის ქალაქ რუსეს — რიგის მოძმე ქალაქის სპორტსმენებმა.

უმძიმეს წონაში ლატვიის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა გემის ძრავების მექანიკოსმა ს. სტოიანოვმა. ბულგარეთის ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებულმა სპორტსმენმა ქულებით აჯობა ყველა მეტოქეს.

* * *

ასევე 1 ოქტომბერს ალმა-ათაში ყაზახეთის დედაქალაქის პედაგოგებმა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული სპარტაკიადა მოაწყვეს. ქალაქის უძველეს „დინამოს“ სტადიონზე, მიუხედავად ასაკისა, ისინი აზარტულად იბრძოდნენ I ადგილებისთვის ექვს სახეობაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ვაჟთა შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში, ქალებისა — ფრენბურთში.

## მორიგი ტირაჟი

იაროსლავლი, 30 სექტემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 27-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 24 (თხილამურები), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 35 (სპიდვეი), 37 (სროლა).

„სპორტლოტოს“ შემდეგი ტირაჟი 10 ოქტომბერს გაიმართება ჩელიაბინსკში.

## საქმეთა [illegible]

### 29-ე ტრადიციული ალპინიადა

თბილისის უნივერსიტეტის 200 სტუდენტმა და მასწავლებელმა ტრადიციული 29-ე ალპინიადის სტარტი აიღო. წლევანდელი ალპინიადის მიზანი მყინვარწვერის ეგრიშია.

ექსპედიციის მონაწილეთა შორის (ხელმძღვანელია ფიზიკის კათედრის დოცენტი, სპორტის ოსტატი შ. მირიანაშვილი) თანრიგოსანი სპორტსმენებიც არიან, მაგრამ უმეტესობას მაინც ახალბედები შეადგენენ, რომლებიც ახლა სწავლობენ სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ანბანს.

## [illegible] 19⁴⁵

◆ ალმა-ათა, 2 ოქტომბერი. გუშინ ადგილობრივ ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე და მის მიდამოებში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრებები ხტომასა და სათხილამურო ორჭიდში. ბევრი „მფრინავი მოთხილამურისთვის“ საერთო ფიზიკურ მომზადებაში ასპარეზობა ხტომაზე ძნელი გამოდგა. საბოლოოდ, საუკეთესო მხტომელთა სამეულიდან მხოლოდ ერთი „გადარჩა“ — ლენინგრადელი გ. მენშიკოვი, რომელიც II ადგილზე დარჩა. I ადგილი ხვდა ლვოველ ბ. გოლოსოვს. ხტომასა და საერთო ფიზიკურ მომზადებაში (სპორტსმენები 100, 1500 მეტრზე რბენასა და ადგილიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს) შეფასებათა ჯამში მან 408,1 ქულა დააგროვა. „ფასეულობათა გადაფასება“ მოხდა ორჭიდელთა შორისაც, რვა სპორტსმენისთვის კი 7,5-კილომეტრიანი კროსი მეტისმეტად ძნელი გამოდგა — ისინი რბოლას გამოეთიშნენ. ორჭიდში ყველას აჯობა ტალინელმა ტ. ჰალიანდმა — 418,3 ქულა.



მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დღეებში ბავარიის დედაქალაქის ქუჩებში ყველაფერი იყიდებოდა, დაწყებული უბრალო სუვენირებიდან, ავტომანქანებით დამთავრებული. მოოსაჰერშტრასეზე ორივე მხარეს იყო ჩამწკრივებული ათასნაირი მარკის ნახმარი ავტომანქანები, რომლებსაც ეწერათ ფასი და პატრონის ტელეფონი.

ოლიმპიური სუვენირებით მოვაჭრე ფარდულებსა და მაღაზიებს ხომ თვლა არ ჰქონდა!

სპორტულ სარბიელებსა და მიყრუებულ ქუჩებში კი ნახავდით მოძრავ საფოსტო განყოფილებებს, სადაც შეგეძლოთ ოლიმპიური კონვერტებისა და მარკების ყიდვა, XX თამაშების შტემპელით წერილისა თუ ამანათის გაგზავნა. ამ სურათზე თქვენ სწორედ ასეთ საფოსტო განყოფილებას ხედავთ.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარგარიანის ფოტო.

# მიუნხენის ოქროს წვიმა

## 4. ცხარე ბრძოლები ტატამზე

ძიუდოისტთა შეჯიბრება მძიმეწონოსნებმა გახსნეს. ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის ოცზე მეტი გოლიათი ჩაება. ტურნირში საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდა ჩვენი თანამემამულე გივი ონაშვილი. ასპარეზობის წინ ათასნაირ პროგნოზებს აქვეყნებდნენ პრესაში. იაპონელები წინასწარ იკვეხნიდნენ, ექვსივე ოქროს შინ წავიღებთო, ჰოლანდიელებს თავიანთი კერპის ვიმ რიუსკას იმედი ჰქონდათ, მასპინძლებს — კლაუს გლანისა, ჩვენ — გივი ონაშვილისა.

დილის 10 საათისთვის „ბასკეტბალჰალე" (იმ დღეს კალათბურთელები ისვენებდნენ) პირთამდე სავსე იყო. ფავორიტებმა გაიმარჯვეს. რიუსკამ სძლია მაროკოელ ტ. ბენჯასოუს, შემდეგ ამერიკელ დ. ნელსონს, გლანს. წინ მიიწევდა ონაშვილიც. მან ჯერ პოლონელ ვ. სიკორსკის აჯობა, შემდეგ იაპონელ მ. ნიშიმურას (ორივეს წმინდად მოუგო), მეოთხედფინალში კი ფრანგი ჯ. ბროდანი დაამარცხა.

სანუგეშო ჯგუფში გლანმა ყველა შეხვედრა მოიგო და ოთხეულში გავიდა, სადაც ქართველ ფალავანს შეხვდა. დარბაზში ამ დროს წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. რასაკვირველია, ოთხი ათასი მაყურებლიდან უმრავლესობა გერმანელ სპორტსმენს უჭერდა მხარს. ისეთი ღრიანცელი იდგა, ყურთასმენა არ იყო. ახოვანი გივი გერმანელზე ღონიერი გახლდათ და აქტიურადაც დაიწყო ჭიდილი — მეტოქე რამდენიმეჯერ ხელში აიტაცა, მაგრამ გლანი კარგად იცავდა თავს. ერთ მომენტში ონაშვილმა ზურგზე წამოიკიდა გერმანელი და ძირს დაანარცხა. „იპონ!" (წმინდა გამარჯვება), — შესძახა ტატამის არბიტრმა, მეტოქეები წამოდგნენ, რადგან ჭიდაობა დასრულებულად მიიჩნიეს. დარბაზიც გაინაბა. სწორედ ამ დროს გვერდითი მსაჯი (იგი იაპონელი გახლდათ) არ დაეთანხმა კოლეგას და „იპონი" არ ჩათვალა. რა იცოდა გივიმ, რომ წმინდა გამარჯვებას არ ჩაუთვლიდნენ, თორემ გერმანელს ხელს როგორ გაუშვებდა, 30 წამს შებოჭილი ეყოლებოდა და გამარჯვებაც დარჩებოდა.

ამ მომენტის შემდეგ ონაშვილმა ტემპი მოადუნა, მომხდარი ამბისგან გაოგნებულიც ჩანდა. ამით კარგად ისარგებლა გლანმა, გივის ილეთი ჩაუტარა, ტატამზე შებოჭა, შეხვედრაც მოიგო და ფინალშიც გავიდა, სადაც მას რიუსკა ელოდა. მე ვაკვირდებოდი ჰოლანდიელ გიგანტს, იგი მოპირდაპირე მხარეს იჯდა და კარგად ვხედავდი მის სახეზე აღბეჭდილ ღიმილს. გასაგები იყო, მას მეტოქედ გლანი უფრო ეჭაშნიკებოდა, ვიდრე ქართველი ფალავანი.

რიუსკამ ადვილად სძლია გლანს და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. გივი ონაშვილს ბრინჯაო ხვდა.

ქვემძიმე წონის ძიუდოისტთა ასპარეზობა მეორე დღეს გაიმართა. აქ ყველა ელოდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ფუმიო სასახარას იოლ გამარჯვებას. იაპონელი მისთვის ჩვეულ კარგ სპორტულ ფორმაში იყო, თანაც, პირველი შეხვედრა „ვილაც" შოთა ჩოჩიშვილთან ჰქონდა. როცა იაპონელი ჩოჩიშვილის მოპირდაპირე მხარეს დადგა, მას ფოტორეპორტიორები მისცვივდნენ — ყველას უნდოდა წინასწარ მოემარაგებინა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის ფოტოფირი.

მსაჯმა დაწყების ნიშანი მისცა. იაპონელი არ ჩქარობდა, არც შოთამ შეუტია მყისვე. მეტოქეები პირველ წუთებში თითქოს ერთმანეთს ძალას უსინჯავდნენ. გადიოდა დრო და უპირატესობას ვერც ერთი სპორტსმენი ვერ აღწევდა. წამმზომმა ბოლო წრე დაიწყო, როცა შოთამ იაპონელს ქამარში ხელი ჩაავლო, ზურგზე მოიგდო და ბეჭებით მიწას დაანარცხა. არბიტრმა მეტოქეები ტატამის ცენტრში მოიხმო, მარჯვენა ხელი ჩოჩიშვილისკენ გაიშვირა და შესძახა: „იპონ!".

შემდეგი მეტოქე ინგლისელი დევიდ კოლან სტარბრუკი იყო. არ ვიცი, რატომ გამოვიდა იგი საჭიდაოდ, თუ კი არც თვითონ ეცდებოდა ილეთის ჩატარებას და არც მეტოქეს მისცემდა ამის საშუალებას. სტარბრუკს შერკინების უჩვეულო მანერა ჰქონდა — წელში მოხრილი ჭიდაობდა და მეტოქისთვის შეუვალი იყო. შოთამ რამდენიმეჯერ სცადა ხელი ჩაევლო მისთვის, მაგრამ ბრიტანელი მყისვე ჩაიჩოქებდა და ილეთის ჩატარების საშუალებას არ იძლეოდა, თანაც კრიტიკულ მომენტში არც ტატამიდან გაქცევას თაკილობდა. შეხვედრის დრო ამოიწურა. ხუთიდან სამმა მსაჯმა სტარბრუკს უპირატესობა მისცა. რომ გეკითხათ, რისთვის, ალბათ ვერც ერთი ვერ გიპასუხებდათ. ჭიდაობის ასეთი მეთოდით ბრიტანელი ნახევარფინალში გავიდა, შოთა კი სანუგეშო ჯგუფში მოხვდა და თავიდან უნდა დაეწყო ბრძოლა.

ჩოჩიშვილს ყოველ ხუთ-ათ წუთში უხმობდნენ საჭიდაოდ. მან ჯერ ფრანგი პიერ ალბერტინი დაამარცხა ხუთ წუთში, მერე ამერიკელი ჯეიმს უოლეი — წუთნახევარში და როცა მასპინძელს — პაულ ბარტს შეხვდა, დარბაზში კვლავ აუწერელი ღრიანცელი ატყდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა: ჩოჩიშვილმა ბარტს უმალვე „მოუღო ბოლო".

გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ კვლავ დადგნენ ჩოჩიშვილი და სტარბრუკი. ბრიტანელმა ჭიდაობის თავისებურ ყაიდას არც ამჯამად უღალატა, მაგრამ ჩოჩიშვილმა მაინც შეძლო სამი ნახევარქულიანი ილეთის ჩატარება, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისა და ოლიმპიური ოქროს მედლის მოხვეჭისთვის.

არ გაუმართლა მესამე ქართველ ძიუდოისტს გურამ გოგოლაურს. მართალია, მან კარგად დაიწყო ასპარეზობა — ზედიზედ დაამარცხა სენეგალელი ჯონს კისი, ამერიკელი ორვეინ კოენი, იუგოსლაველი სლავკო აბადოვი, ჰოლანდიელი მარტინ პოგლაიენი, მაგრამ ჰოლანდიელ ბრაიან ჯექსთან დამარცხდა. ვერც სანუგეშო ჯგუფში იმარჯვა ფრანგ ჟან-პოლ კოშესთან და საბოლოოდ V ადგილს დასჯერდა.

ძიუდოისტთა ასპარეზობით ყველაზე განაწყენებული იაპონელები დარჩნენ, ვინაიდან ვარაუდი არ გაუმართლდათ — ექვსი „დაგეგმილი" ოქროს ნაცვლად მხოლოდ სამი იგდეს ხელთ. შეჯიბრების ბოლო დღე ისევ რიუსკასი იყო: მან მიაფინ-მოაფინა ყველა მეტოქე და აბსოლუტური პირველობაც დაისაკუთრა. ეს ათლეტი არასდროს ერიდება ჭიდაობის გამწვავებას, ზედმეტად რისკიანიც კი გვეჩვენება, მაგრამ ამ რისკს მისი დიდი საზრიანობაც ერწყმის. აღსანიშნავია, რომ რიუსკამ ყველა გადამწყვეტი შეხვედრა წმინდად მოიგო.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნხენი — თბილისი.

• • •



სურათზე: „ბასკეტბალჰალეს" ხედი.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

---

## დაწინაურდნენ მასპინძლები

**სკოპლე, 30 სექტემბერი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე XX ოლიმპიადაში დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდის ახალბედამ სავონმა წააგო ჰარტოხთან (ჰოლანდია). ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ჰოლანდიელები ანგარიშით 2,5:1,5.

**სკოპლე, 1 ოქტომბერი.** ვაჟთა მთავარი ფინალის IV ტურში საბჭოთა ნაკრები ბულგარელებს შეხვდა: კორჩნოიმ დაამარცხა ტრინგოვი, პეტროსიანმა ყაიმით დაასრულა პარტია ბობოცოვთან, კარპოვმა კი წააგო პადევსკისთან. ტალისა და რადულოვის პარტია ხელმეორედ გადაიდო: ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა — 1,5:1,5.

დღეს გაიმართა V ტური. საბჭოთა ნაკრებმა გდრ-ის გუნდს სძლია — 3,5:0,5. კორჩნოიმ მოუგო ულმანს, სმისლოვმა — კნააკს, ტალმა — ლიბერტს, ხოლო ფოჰტ — სავონის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ტურნირის ლიდერმა — იუგოსლავიის გუნდმა დამაჯერებლად მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეებს — 3:1. ჩეხოსლოვაკიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრის ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა — 1:1. უნგრელები აგებენ შვედებთან — 0,5:1,5, ბულგარელები ანგარიშით 2:1 დაწინაურდნენ ჰოლანდიელებთან მატჩში, ხოლო რუმინელები შვეიცარიელებთან შეხვედრაში — 1,5:0,5.

ქალთა V ოლიმპიადის შესარჩევმა შეჯიბრებებმა გამოავლინა მთავარი ფინალის მონაწილე ხუთი ნაკრები გუნდი. ესენი არიან სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის კოლექტივები. დანარჩენ სამ ფინალისტს V ტურში გადადებული პარტიების დამთავრება „დაასახელებს". ამ ტურში სსრ კავშირის გუნდმა ირლანდიის ნაკრებს სძლია — 1,5:0,5. კუშნირმა დაამარცხა ნუნი, ლევიტინამ კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ო' გლერისთან.

**სკოპლე, 2 ოქტომბერი.** ვაჟთა მთავარი ფინალური ტურნირის ლიდერს — იუგოსლავიის ნაკრებს 15 ქულა აქვს. სსრ კავშირისა და ესპანეთის გუნდებს 12,5-12,5 ქულა დაუგროვდათ. დიდოსტატმა ტალმა ბულგარელ რადულოვთან ორჯერ გადადებულ პარტიაში გამარჯვებას მიაღწია — დღეს რადულოვმა მსაჯთა კოლეგიას აცნობა, რომ თავს დამარცხებულად ცნობს. ამრიგად, სსრ კავშირ — ბულგარეთის მატჩის საბოლოო შედეგია 2,5:1,5.

უნგრეთის ნაკრებს 12 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

### ოლიმპიადის ირგვლივ

#### ფიშერის „ავტოგრაფი"

იუგოსლავიის ჭადრაკის გულშემატკივრების ერთ-ერთი კერპი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალია. ოლიმპიადის დღეებში რიგელ დიდოსტატს ერთმა მოყვარულმა ავტოგრაფი ხთხოვა. ამაში არაფერი იქნებოდა არაჩვეულებრივი, ერთი გარემოება რომ არა: იუგოსლაველს სურდა, რომ მოჭადრაკეს ასდინარიან კუპიურაზე მოეწერა ხელი. ტალმა სწრაფად და გარკვევით დაწერა: ბობი ფიშერი.

საკმაო დრო გავიდა, სანამ გულშემატკივარი მიხვდებოდა, რომ საბჭოთა დიდოსტატი ფულზე თავის გვარს არ წააწერდა. მერე იუგოსლაველმა ყველას თვალწინ დახია თავისი ასი დინარი ფიშერის „ავტოგრაფით" და დიდოსტატს ხელმოსაწერად სუფთა ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

#### ოლიმპიადას ემსახურებიან

ოლიმპიადას 500 კაცი ემსახურება: 100 თარჯიმანი, 80 დემონსტრატორი, 70 მსაჯი, 100 პარტიების გადამწერი, 50 ტექნიკური მომსახურე, 100 შოფერი, ექიმი, კონტროლიორი, მეხანძრე.

#### ოლიმპიური პარკი

ქალაქ სკოპლეს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიური პარკის შექმნის შესახებ. ეს პარკი სამ ჰექტარზე გაშენდება მუდმივი საქალაქო პარკის ტერიტორიაზე. ვაჟთა და ქალთა თითოეული გუნდი ამ ბაღში ერთ ხეს დარგავს. შემდგომ მზრუნველობას პარკს სკოპლეს პიონერთა სახლის „კარპოშის" აღსაზრდელები გაუწევენ.

#### ყველაზე...

ჯერჯერობით ყველაზე ნაკლები სვლა ოლიმპიადაში კრისტიჩისა (ჰონკონგი) და რიბეირის (პორტუგალია) პარტიაში გაკეთდა: მე-12 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ყველაზე სწრაფი გამარჯვება ბულგარელმა საერთაშორისო ოსტატმა რადულოვმა მოიპოვა ალიაშთან (ერაყი) შეხვედრაში: 24 სვლისთვის მან საათზე ცოტა მეტი დრო დახარჯა.

---

## ამჯერად მეორე...

ტალინში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტის ოსტატები — შარშანდელი ჩემპიონი ც. კობაიძე (თბილისი), ნ. ტიტორენკო (მოსკოვი). ოთხი ოსტატობის კანდიდატი და ათი უძლიერესი პირველთანრიგოსანი.

დაძაბულ ბრძოლაში, რომელიც ორ კვირაზე მეტს გრძელდებოდა, პირველობა მოიპოვა კიევის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ი. ოსტრიიმ. მან 15 შესაძლებლიდან 12,5 ქულა მოაგროვა. კობაიძე გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა ნ. ტიტორენკომ (11,5 ქულა), ხოლო ქართველი ოსტატობის კანდიდატი ს. კალანდარიშვილი მეოთხე იყო.

---

## მძლეოსანთა სტარტები

პარიზი, 1 ოქტომბერი. დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ნაკრებმა ანგარიშით 123:89 მოუგო მატჩი ფრანგებს. ეს იყო ამ ქვეყნების მძლეოსანთა ბოლო შეჯიბრება წლევანდელ სეზონში, ხოლო მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორისთვის, ინგლისელი დ. ჰემერისთვის ეს საერთოდ უკანასკნელი გამოსვლა იყო. ჰემერიმ ყველას აჯობა 400 მეტრზე თარჯრბენში — 49,3 წამი.

სხვა გამარჯვებულთაგან უნდა აღვნიშნოთ: ინგლისელი ი. სტიუარტი (5000 მ — 13.38,8), „ბრინჯაოს ოლიმპიელი", ფრანგი გ. დრიუ (110 მეტრზე თარჯრბენი — 13,6), ბრიტანელი ა. ლერუილი (სიგრძეზე ხტომა — 774 სმ), ფრანგი ბ. გოტიე (სიმაღლეზე ხტომა — 215 სმ), ფრანგი ი. ბრუზე [ბირთვი — 19,59 მ].

ჰელსინკი, 1 ოქტომბერი. ადგილობრივ ოლიმპიურ სტადიონზე მიუნჰენის თამაშების ორგზის ჩემპიონმა, ფინელმა ლ. ვირენმა ამაოდ შეუტია 5000 მეტრზე რბენაში ბელგიელი ე. პუტემანსის მსოფლიო რეკორდს. მისი დროა 13.29,8. ი. პლახიმ (ჩეხოსლოვაკია) 800 მ 1 წუთსა და 46,2 წამში გაირბინა, ხოლო ტ. კანტანენმა (ფინეთი) 3000 მ წინაღობებით — 8 წუთსა და 34,6 წამში.

### ველორბოლა

მეხიკო, 2 ოქტომბერი. ადგილობრივ ტრეკზე დანიელმა ველოსიპედისტმა ერნ ლუნდმა მსოფლიო რეკორდები დაამყარა 5 და 10 კილომეტრზე რბოლებში. პირველ დისტანციაზე მისი შედეგია 6.00,31, მეორეზე — 12.21,32.

[illegible] ... 19 45

◆ **პარდუბიცე, 2 ოქტომბერი.** ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გაიმართა სპიდვეისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ოქროს ჩაფხუტი". გაიმარჯვა ო. ოლსენმა (დანია). ლენინგრადელი გ. ივანოვი III ადგილზეა.

# 90 წუთი შეტევაში

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:0 (0:0).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი (პეტრიაშვილი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

„დნეპრი“: კოლტუნი, არტიუხი, ნაიდა, ივანოვი, ბოგდანოვი, ნაზაროვი, შნეიდერმანი, ევსეენკო, ფედორენკო (კოშლატენკო), პილიპჩუკი (ხრისტიანი), რომანიუკი.

მსაჯი მ. ჩერდანცევი (ალმაათა).

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში, როცა დნეპროპეტროვსკში ხვდებოდნენ ერთმანეთს, „დნეპრი“ და თბილისის „დინამო“ ახლო მეზობლები იყვნენ და ამიტომ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. დინამოელები მაშინ წინ იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს არა მარტო საპასუხო ბურთის გატანა, არამედ 2 ქულის აღებაც.

მეორე წრეში დაახლოებით ასეთივე სიტუაცია შეიქმნა: ორივე მეტოქე კვლავ ახლოსაა ერთმანეთთან სატურნირო ცხრილში. ამასთან, ორივეს საპრიზო ადგილზე გასვლის რეალური შანსი აქვს. ასეთ ვითარებაში ბრძოლას, ცხადია, საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება.

მატჩის საერთო მსვლელობაზე და მის შედეგზე დიდი გავლენა იქონია დასაწყისმა, პირველივე წუთებმა. ეს წუთები თბილისელთა ისეთი შტურმით აღინიშნა, რომ „დნეპრის“ მთელი შემადგენლობა იძულებული იყო თავის საჯარიმო მოედანზე მოეყარა თავი მდგომარეობის სახსნელად. ვის არ ნახავდით იქ — ნახევარმცველებს, ცენტრალურ თავდამსხმელს, გარემარბებს და მათთან — „დინამოს“ მცველებს, რომლებიც ნახევარმცველებთან ერთად ხშირად თავიანთი ფუნქციების შესრულებით თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ ფორვარდებისგან.

პირველი 5 წუთის მანძილზე სტუმრების კარი ბეწვზე გადაურჩა ხიფათს ყიფიანის, ხურცილავას, გუცაევის დარტყმების შემდეგ. ამას მოჰყვა ძოძუაშვილის, ასათიანის, მაჩაიძის დარტყმები, მეკარე კოლტუნი ძლივს აუდიოდა ამ შეუჩერებელ „სეტყვას“, მინდვრის მოთამაშეები კი ცოტა ხნითაც ვერ ტოვებდნენ საჯარიმო მოედანს და ასწრებდნენ მხოლოდ ბურთის საკმაოდ უთავბოლო მოგერიებას. მართალია, იყო მომენტი, როცა შნეიდერმანმა გარღვევაზე გაიყვანა ევსეენკო და ამ უკანასკნელმა ახლოდან ბურთი მიზანსააცდინა, მაგრამ ეს კონტრშეტევა გამონაკლისი, ეპიზოდი უფრო იყო, რომლის მსგავსი შემდგომში აღარც გამეორებულა.

საუკეთესოდ ითამაშა ჩვენი გუნდის



თავდასხმაში ყიფიანმა, რომელმაც თამამად აიღო ლიდერისა და მთავარი შემტევი ძალის მოვალეობანი. მას თავიდანვე შესაფერისი მხარდაჭერა რომ ჰქონოდა ნოდიასა და გუცაევისგან, „დნეპრის“ დამარცხების საქმე შესვენებამდე მოთავდებოდა.

დინამოელთა განუწყვეტელ იერიშებში გავიდა 15, 30, 40, 45 წუთი, ანგარიში კი არ ჩანდა. უნდა აღინიშნოს სტუმრების ბრძოლისუნარიანობა, თავგამოდება, მატჩის მოგების გარანტია კი, სიმართლე რომ ვთქვათ, უნდა შექმნილიყო თავიდანვე, სწორედ იმ პერიოდში, როცა დინამოელები მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყვნენ და საამისოდ ბევრი აშკარა შესაძლებლობაც ჰქონდათ.

მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მასპინძელთა დიდმა უპირატესობამ „მატერიალური“ შედეგი შესვენების შემდეგ მაინც გამოიღო და შეტევებსაც უფრო მიზანდასახული ხასიათი მიეცა.

როგორც კი თამაში განახლდა, მასპინძლებმა კვლავ შეუტიეს მეტოქეს: ძოძუაშვილმა კარგ პოზიციაში მიაწოდა ხურცილავას, ამ უკანასკნელის მძლავრი დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, შემდეგ აღმოჩნდა ყიფიანთან, რომელმაც ზუსტად გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

ამ გოლმა საბოლოოდ მოაწესრიგა თბილისელთა საიერიშო კომბინაციების ეფექტურობა, ნერვიულობა დაცხრა, ამოქმედდნენ ნოდია და გუცაევიც და 58-ე წუთზე „დნეპრს“ ხელმეორედ მოუხდა თამაშის დაწყება ცენტრიდან გავაშელის ძლიერი დარტყმის შემდეგ — 2:0.

სტუმრებმა სცადეს კონტრთამაშის შექმნა, საამისოდ შეცვლათა სრული ლიმიტიც ამოწურეს, მაგრამ მდგომარეობის ხსნა მათს ძალებს აღემატებოდა. 77-ე წუთზე ყიფიანმა საჯარიმო დარტყმა გაითამაშა ასათიანთან, ძელიდან უკუგდებული ბურთი კარისკენ გაგზავნა მაჩაიძემ, მას მიუსწორო ნოდიამ და დნეპროპეტროვსკელთა კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა.

**რ. ძორიძე.**

• • •

სურათზე: თბილისელთა მარცხენა გარემარბი დ. ყიფიანი ხსნის ანგარიშს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## მატჩები, გოლები

30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

„ტორპედო“ — „ზენიტი“ 0:0.

„ქაირათი“ — „ნეფთჩი“ 1:0.

პირველი ტაიმის თანაბარი ბრძოლის შემდეგ უპირატესობას „ქაირათი“ დაეუფლა და როჟკოვმა 68-ე წუთზე გაიტანა გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში.

„დინამო“ (მინსკი) — ცსკა 2:1.

ამ პრინციპულ მატჩში თავი გამოიჩინა მინსკელმა ვასილიევმა, რომელმაც ორჯერ შეძლო არმიელთა კარის აღება. ერთადერთი საპასუხო გოლი დოროფეევმა გაიტანა.

სკა (დონის როსტოვი) — „ზარია“ 3:1.

ჩემპიონატის ლიდერი დაწინაურდა უკვე მე-9 წუთზე, როცა კუკსოვმა ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი საჯარიმო. მაგრამ ეს იყო სტუმრების პირველი და უკანასკნელი წარმატება. საპასუხო გოლი გატანილი იქნა ასევე 11-მეტრიანით ესკოვის მიერ, 65-ე წუთზე ბონდარენკომ წინ გაიყვანა არმიელები, ხოლო ესკოვმა მატჩის დასასრულს მესამე გოლი გაიტანა.

„არარატი“ — „კარპატი“ 2:0.

ერევნელებს მთელი თამაშის მანძილზე ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა. ანგარიში მათ პენალტით გახსნეს (ზანაზანიანი), ხოლო უკვე შეხვედრის ბოლო წუთებზე იშტოიანმა მეორედ აიღო ლვოველთა კარი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 2:1.

კიეველები პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ წინ იყვნენ ანგარიშით 1:0 (ბურთი 39-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა ვერემეევმა). 64-ე წუთზე მახოვიკოვმა ლამაზი თავური დარტყმით თანაფარდობა აღადგინა, 84-ე წუთზე კი კოზლოვის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა მოსკოველებს.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 23 | 13 | 6 | 4 | 41—20 | 32 |
| ცსკა | 25 | 14 | 3 | 8 | 32—26 | 31 |
| „არარატი“ | 23 | 10 | 7 | 6 | 32—22 | 27 |
| „დინ.“ (თბ.) | 23 | 9 | 9 | 5 | 28—23 | 27 |
| „დინ.“ (მნ.) | 24 | 8 | 10 | 6 | 24—21 | 26 |
| „დნეპრი“ | 24 | 8 | 10 | 6 | 29—30 | 26 |
| „დინ.“ (მ.) | 23 | 11 | 3 | 9 | 33—27 | 25 |
| „ზენიტი“ | 25 | 7 | 11 | 7 | 27—26 | 25 |
| „დინ.“ (კ.) | 22 | 8 | 8 | 6 | 34—27 | 24 |
| სკა | 24 | 7 | 9 | 8 | 27—28 | 23 |
| „ტორპედო“ | 23 | 8 | 7 | 8 | 24—28 | 23 |
| „ქაირათი“ | 24 | 5 | 12 | 7 | 18—21 | 22 |
| „კარპატი“ | 24 | 7 | 6 | 11 | 19—30 | 20 |
| „სპარტაკი“ | 21 | 6 | 5 | 10 | 23—24 | 17 |
| „ლოკომოტ.“ | 24 | 3 | 8 | 13 | 23—38 | 14 |
| „ნეფთჩი“ | 24 | 4 | 6 | 14 | 21—44 | 14 |

## თბილისის სპორტული

ფეხბურთი. სკა-ს სტადიონი. 3 ოქტომბერი. საქართველოს პირველობა. სკა (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი). დასაწყისი 16 ს.

## მექრთამეობა დაუმტკიცეს

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ გაარჩია „შალკე 04“-ის მარჯვენა მცველ სობიერაის საქმე. მას ბრალად ედებოდა რომ „შალკე 04“-ისა და „არმინიას“ შეხვედრის წინ, რომელიც მოიგო „არმინიამ“ ანგარიშით 1:0, მეტოქეთაგან ქრთამი აიღო და მათი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.

სობიერაის დაუმტკიცდა დანაშაული და 2 წლით დისკვალიფიკაცია მიეცა. ამ ხნის მანძილზე იგი ვერავითარ ოფიციალურ შეჯიბრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

• •

## არგენტინელთა ტურნე

როგორც ბუენოს-აირესში გამოცხადდა, არგენტინის ნაკრები ინტენსიურ მზადებას იწყებს მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისთვის.

1973 წლისთვის დაგეგმილია დიდი ევროპული ტურნე, რომლის დროსაც სამხრეთამერიკელები ითამაშებენ დასავლეთ გერმანიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, საბერძნეთსა და ესპანეთში.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## I ლიგა

30 სექტემბერს გამართული კალენდარული შეხვედრები ასე დამთავრდა: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:0, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 1:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ალგა“ (ფრუნზე) 3:0.

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ტაშკენტის „ფახტაქორის“ მატჩი არ შედგა ტაშკენტელი ფეხბურთელების იტალიაში ყოფნის გამო.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორ“. | 31 | 17 | 8 | 6 | 60—29 | 42 |
| „ფახთაქ.“ | 29 | 18 | 6 | 5 | 50—22 | 42 |
| „შახტ.“ (დ) | 31 | 14 | 12 | 5 | 44—18 | 40 |
| „ზვეზდა“ | 32 | 13 | 12 | 7 | 37—31 | 38 |
| „კრ. სოვეტ.“ | 31 | 11 | 15 | 5 | 39—26 | 37 |
| „შინიკი“ | 31 | 14 | 9 | 8 | 33—26 | 37 |
| „ტორპედო“ | 30 | 16 | 4 | 10 | 40—24 | 36 |
| „სპარტაკი“ | 31 | 11 | 10 | 10 | 38—39 | 32 |
| „პამირი“ | 30 | 10 | 11 | 9 | 37—39 | 31 |
| „შახტ.“ (ყ.) | 32 | 9 | 12 | 11 | 30—38 | 30 |
| „ტექსტილ.“ | 31 | 9 | 11 | 11 | 28—38 | 29 |
| „ალგა“ | 31 | 8 | 12 | 11 | 32—33 | 28 |
| „მეტალურ.“ | 31 | 10 | 7 | 14 | 38—40 | 27 |
| „ავტომობ.“ | 31 | 7 | 13 | 11 | 23—36 | 27 |
| „სტროიტ.“ | 31 | 9 | 8 | 14 | 30—48 | 26 |
| „მეტალისტ.“ | 31 | 7 | 11 | 13 | 25—33 | 25 |
| „ნისტრუ“ | 31 | 7 | 11 | 13 | 29—39 | 25 |
| „დინამო“ | 31 | 6 | 11 | 14 | 24—44 | 23 |
| „კრივბასი“ | 31 | 6 | 10 | 15 | 38—53 | 22 |
| „ურალმაში“ | 31 | 6 | 9 | 16 | 29—48 | 21 |

## რაგბი 72

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

# „ფილის“ — ოქრო გაგარინელებს — ვერცხლი „ლოკომოტივს“ — ბრინჯაო

ამ შაბათ-კვირას გაიმართა რეგბისტთა საკავშირო პირველობის ბოლო ტურის შეხვედრები. ქვეყნის მარშანდელ ჩემპიონს — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს, რომელსაც ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ მეორე წრის მატჩი გამოტოვებული აქვს, თბილისის „ლოკომოტივთან“ „ფილის“ დამარცხების შემთხვევაში ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი უჩნდებოდა. ამიტომაც გაგარინელებმა შაბათს მონინოში კიევის „სპარტაკთან“ თავდაუზოგავად ითამაშეს და აქტივში 2 ქულა ჩაიწერეს — 10:3.

„ფილის“, რომელმაც კვირას თბილისის „ლოკომოტივი“ მიიღო, მხოლოდ მოგებაზე უნდა ეფიქრა. მოსკოველებმა რკინიგზელებს თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა შესთავაზეს. თბილისელებმა გამოწვევა მიიღეს. მასპინძლების უპირატესობა თანდათან აშკარა გახდა. „ლოკომოტივის“ დაცვაში ბზარი გაჩნდა. „ფილიმ“ მშრალი ანგარიშით (12:0) გამარჯვება შეძლო, 23 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. გაგარინელები, ლენინგრადის გუნდთან დარჩენილი შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ვერცხლის მედლებს უნდა დასჯერდნენ.

რაც შეეხება თბილისის „ლოკომოტივს“, მას ამ წაგებით საგრძნობლად გაუნელდა ბრინჯაოს მედლების მოპოვების იმედი, მაგრამ კვირა საღამოს მოსკოვში ვერც ლენინგრადელებმა ითამაშეს ხეირიანად — ადგილობრივი „სპარტაკის“ წინააღმდეგობა ვერ გატეხეს და ფრეს (10:10) დასჯერდნენ.

ახლა „ბურევესტნიკმა“ გაგარინელებთან დარჩენილი მატჩი რა ანგარიშითაც უნდა მოიგოს, IV ადგილზე მაღლა ვერ ავა. საქმე ისაა, რომ, დებულებით, ჩემპიონატში III და ქვედა ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს თუ თანაბარი ქულები დაუგროვდათ, უკეთესი ადგილის ბედს ამ ორ გუნდს შორის გამართული მატჩების შედეგები და შეფარდება წყვეტს. ამ მხრივ კი „ლოკომოტივი“ სჯობს „ბურევესტნიკს“ — თბილისელებმა შინ გაიმარჯვეს ანგარიშით 22:9, ლენინგრადში კი დამარცხდნენ — 6:7.

ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივმა“ (მწვრთნელი გ. ტონია) კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. ბრინჯაოს მედლებიც დიდი წარმატებაა.

კიევის „დინამომ“ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს უმასპინძლა. კიეველები გამარჯვების შემთხვევაში გაისად I ჯგუფში თამაშის უფლებას ინარჩუნებდნენ, მსი კი II ჯგუფში გადადიოდა. მატჩი სტუდენტებმა მოიგეს — 4:0. ამრიგად, კიევის „დინამო“ I ჯგუფს გამოეთხოვა. მის ადგილს გაისად დაიკავებს თბილისის „დინამო“, რომელმაც წლეულს II ჯგუფის გუნდების ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარა: ისე გაიმარჯვა, ქულაც არ დაუკარგავს.

გაისად თბილისი I ჯგუფის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატში კვლავ ორი კოლექტივით იქნება წარმოდგენილი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფილი“ (მოსკოვი) | 14 | 11 | 1 | 2 | 168:62 | 23 |
| სამხედრო-საჰაერო აკადემია | 13 | 9 | 2 | 2 | 170:83 | 20 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 14 | 9 | 0 | 5 | 157:125 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 13 | 6 | 4 | 3 | 132:115 | 16 |
| „სპარტაკი“ (კიევი) | 14 | 4 | 1 | 9 | 169:140 | 9 |
| მსი | 14 | 4 | 1 | 9 | 109:149 | 9 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 14 | 3 | 3 | 8 | 109:262 | 9 |
| „დინამო“ (კიევი) | 14 | 2 | 2 | 10 | 102:180 | 6 |

# ბულგარელები დამარცხდნენ

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი წრის საპასუხო მატჩი სოფიის „სლავიისა" და გელზენკირხენის „შალკე-04"-ის (გფრ) ფეხბურთელთა შორის, როგორც ცნობილია, კოკისპირული წვიმის გამო შეწყდა.

განმეორებითი შეხვედრა, რომელიც სოფიის სტადიონზე შედგა 20 სექტემბერს, გერმანელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1. „შალკე-04" (პირველი მატჩი მას მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:1) გავიდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე.

ფეხბურთი

## ახალი ამბები-72

● ვიტელი (საფრანგეთი), 30 სექტემბერი. აქ დამთავრდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობის ბოლო დღეს საბჭოთა სპორტსმენთა სატურნირო მდგომარეობა არ შეუცვლია: პირველი სამი დღის წარუმატებლობის შემდეგ მათ დანაკარგი ვერ ამოიგეს. I ადგილი დაიკავა უნგრეთის ნაკრებმა — 15180 ქულა. II ადგილზეა საფრანგეთის გუნდი (14433), III — შვეციის კოლექტივი (13931). საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავეს. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა უნგრელმა გ. პლანკმა — 5156. II ადგილი ხვდა პლანკის თანამემამულე სომბატელის (5033), III კი ფრანგ გიუგენს (5026). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ა. ტამსაარი, რომელმაც 4896 ქულით V ადგილი დაიკავა.

● პალერმო, 1 ოქტომბერი. სიცილიის ამ ქალაქში გაიმართა იტალიისა და ბულგარეთის მძლეოსანთა მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 130:82. პ. მენეამ 100 მ 10,3 წამში გაირბინა, ხოლო ჯ. დელ ბუონომ 1500 მ — 3 წუთსა და 39,8 წამში. მ. შივომ (ყველა — იტალია) 215 სმ სიმაღლე დაძლია.

● დელმენჰორსტი (გფრ), 1 ოქტომბერი. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში კარგ შედეგს მიაღწია 38 წლის გერმანელმა გ. ვაიდნერმა — 4:02.55,2. ეს იყო შეჯიბრება გფრ-ისა და შვეციის მძლეოსანთა აქ გამართული მატჩის პროგრამით.

## ახალი ამბები-72

# ორი ეტაპის შემდეგ

30 სექტემბერს სტარტი აიღო XIX საკავშირო მრავალდღიანმა ველორბოლამ. პირველი ეტაპი: ივანო-ფრანკოვსკი — ბოგოროდჩანი—ნადვორნაია — ივანო-ფრანკოვსკი (145 კმ) მოიგო კიშინიოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. მოსკალიოვმა — 3:34.56 (ბონიფიკაციის ჩათვლით). ამ გამარჯვების წყალობით გუნდურ ჩათვლაში მოლდაველი ველოსიპედისტები დაწინაურდნენ.

1 ოქტომბერს მრბოლელები მეორე ეტაპის (ივანო-ფრანკოვსკი — ჩერნოვცი, 144 კმ) სტარტზე გამოვიდნენ. ამჯერადაც უაღრესად მწვავე ბრძოლა გაიმართა და, ისევე როგორც პირველ ეტაპზე, ყველაფერი ზედ ფინიშთან გადაწყდა — რიგელმა სპორტის დამსახურებულმა [illegible] ყველაზე უკეთ დაძლია ბოლო ალმართი [illegible] პირველი მიიჭრა — 3:13.43.

II ადგილზეა მოსკოველი ვ. სმეტანინი, ხოლო III — უკრაინის წარმომადგენელი ნ. როგოზიანი.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერი შეიცვალა: ახლა წინაა ლატვიელთა კოლექტივი — 9:51.57. II ადგილზე მყოფი მოსკოველები ლიდერს 8 წამით ჩამორჩებიან. III ადგილზეა უკრაინის ნაკრები.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ბ. ჩარლტონმა დატოვა მინდორი

**ც**ნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ბობი ჩარლტონმა 34 წლის ასაკში გამოეთხოვა ფეხბურთს. თავისი კარიერის ბოლო, გამოსათხოვარი მატჩი მშობლიური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში მან ჩაატარა გლაზგოს „სელტიკის" წინააღმდეგ. ეს ამხანაგური შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. ბ. ჩარლტონმა საუცხოოდ ითამაშა.

● ●

### ტოდისა და ჰადსონის დისკვალიფიკაცია

**რ**ოგორც ვიუწყებოდით, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წლევანდელ ევროპულ ტურნიში მონაწილეობისთვის თავის არიდების გამო ორ განსაკუთრებით ნიჭიერ ფეხბურთელს ტოდსა და ჰადსონს (მათ ეროვნულ გუნდშიც უთამაშიათ) მკაცრი სასჯელით ემუქრებოდნენ. მართლაც, ამ დღეებში ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ განიხილა ტოდისა და ჰადსონის საკითხი და მათ ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცა — აუკრძალა ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო შეხვედრებში თამაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# მეკლდეურობა ოლიმპიადას „მიეკარა"

XX ოლიმპიური თამაშების დროს ახალგაზრდობის საერთაშორისო ალპინიზმის ფედერაციამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოაწყო 17-დღიანი შეკრება, რომელიც თავისუფალ დროს ოლიმპიადაზე დასწრებასაც ითვალისწინებდა. ამ შეკრებამ მიუნჰენში 20 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. შეჯიბრების მიზანი იყო მსოფლიოს მთამსვლელთა ახალგაზრდა თაობის ურთიერთგაცნობა, დაახლოება და სადღეისო აქტუალური საკითხების სადისკუსიოდ გამოტანა.

საბჭოთა კავშირიდან ამ შეკრებაზე გაემგზავრა სამი მთამსვლელი-მეკლდეური — ლენინგრადელი სპორტის ოსტატები, ინჟინერი გ. გავრილოვი, ასპირანტი ა. ლიპჩინსკი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. გურჩიანი.



ახალგაზრდა მთამსვლელთა შეკრების დღის წესრიგში ძირითადად ორი საკითხი იდგა: მეკლდეურობის პოპულარიზაცია და დისკუსია საკითხზე: „მეკლდეურობა, როგორც ოლიმპიური სახეობა".

დიდი ხანია დავაა იმაზე, მეკლდეურობა უნდა იყოს თუ არა დამოუკიდებელ სახეობად გამოყოფილი მთამსვლელობისგან. უკვე რამდენიმე წელია, რაც მეკლდეურობაში სპორტული თანრიგები დამტკიცდა. სსრ კავშირში არიან ყველაზე ძლიერი მეკლდეურები და მათ შორის გამოირჩევიან ქართველი სპორტსმენები, რომელთა შესანიშნავი წარმომადგენელი მიხეილ ხერგიანი გახლდათ.

1971 წლის საკავშირო ჩემპიონატზე (იალტა) სტუმრად იყვნენ მთამსვლელთა ფედერაციების პრეზიდენტები და წარმომადგენლები იტალიიდან, ავსტრიიდან, იაპონიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, მონღოლეთიდან, ბულგარეთიდან, გდრ-იდან და უნგრეთიდან. ამ შეჯიბრების შემყურე უცხოელები მეკლდეურობის დიდი პროპაგანდისტები გახდნენ თავიანთ ქვეყნებში, აღფრთოვანებული წერილები დაიბეჭდა ესპანეთის, იუგოსლავიის, ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების პრესაში.

მიუნჰენში შეკრების პერიოდში მოეწყო საჩვენებელი ასვლები მე-5 და მე-6 კატეგორიების სიძნელის კლდოვან მასივებზე. პირველი ასვლა მოეწყო 28 აგვისტოს მიუნჰენიდან მანქანით 5 საათის სავალზე. აქ, მთებში მდებარე პატარა ტბის მახლობლად, იწყებოდა მარშრუტები. სპეციალურ სამთო ქოხებში ღამისთევის შემდეგ დილაადრიან ყველანი გავიდნენ თავიანთ მიერ არჩეული მწვერვალების დასალაშქრავად. ამ რაიონში თითქმის ყველაზე მაღალი მწვერვალია „ვაცმანი" (მე-5 კატეგორიის სირთულის პიკი). საბჭოთა სამეულმა სწორედ იგი აირჩია დასალაშქრავად ერთ გერმანელ მთამსვლელთან ერთად. ამ ორმა წყვილმა 3 საათი მოანდომა კედლის დაპყრობას, მაშინ, როცა იგივე მარშრუტის დაძლევას საუკეთესო მეკლდეურები 4-6 საათს უნდებიან.

რამდენიმე დღის შემდეგ მიუნჰენიდან 80 კილომეტრის დაშორებით მოეწყო საჩვენებელი გამოსვლა მეკლდეურობაში. საბჭოთა დელეგაციას სთხოვეს, რომ ყველაფერი ისე გაეკეთებინათ, როგორც ამას ჩვენში ატარებენ. ჩვეულებრივ რეზინის კალოშებში გამოწყობილმა ლ. გურჩიანმა სწრაფ ტემპში პირველმა გაიარა ტრასა.

საბჭოთა სამეულის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მათ იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის კინო- და ფოტორეპორტიორები.

ტრასაზე ძალა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც სცადეს, მაგრამ მათ ორჯერ მეტი დრო დახარჯეს.

იმავე საღამოს საბჭოთა დელეგაცია მიიწვიეს გფრ-ის მთამსვლელთა კავშირის კლუბში, სადაც მდიდარი ბიბლიოთეკა დაათვალიერებინეს. ამის შემდეგ საბჭოთა სამეულს კიდევ ერთი ასვლა ჰქონდა: ავსტრიის საზღვარზე.

ასვლებს წინ უძღოდა დისკუსია, რომელიც 2 სექტემბერს ცნობილი გერმანელი მთამსვლელის მანფრედ შტურმის თავმჯდომარეობით გაიმართა. შტურმი ესწრებოდა 1971 წლის საკავშირო ჩემპიონატს იალტაში. მან დამსწრეებს უჩვენა საინტერესო, ლაზნაზად გადაღებული ფილმი ამ შეჯიბრებაზე.

დისკუსიის შედეგად, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, მეკლდეურობას, როგორც სპორტის ცალკე სახეობას, ხმა ყველამ მისცა, მაგრამ, როგორც ოლიმპიური დისციპლინა, იგი ჯერჯერობით არ ცნეს — ხმების რაოდენობა თანაბრად გაიყო.

დ. გოზალიშვილი.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

რ. ზაიფერტის (დრეზდენი) ფოტო.

# ჩვეულებრივი მოსწავლე გოგონა

სიდნეი. როგორც ცნობილია, მიუნჰენის XX ოლიმპიურ თამაშებში 16 წლის ავსტრალიელმა მოსწავლემ შეინ გოულდმა ცურვაში სამი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიგო. სამშობლოში დაბრუნებულმა გოულდმა განაცხადა, რომ თამაშებში კარგი გაკვეთილი მიიღო — არა მარტო გამარჯვება ისწავლა, არამედ მარცხის გადატანაც. „მე რაც შემეძლო გავაკეთე, მაგრამ, შესაძლოა, მეტისმეტად ბევრ სახეობაში გამოვედი. თუმცა, ყველაფერი თავიდან რომ დაიწყოს, გამოცდილებით, არც კი ვიცი, რომელ დისტანციაზე ვიტყოდი უარს".

გოულდმა ისიც თქვა, რომ არ აპირებს მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას. „დავიღალე და მსურს მთლიანად სკოლაში მეცადინეობას დავუთმო დრო. მინდა ჩვეულებრივი გოგონა ვიყო".

თბილისის სპორტის სასახლე

14—31 ოქტომბერი

ნახეთ უკრაინის ანსამბლი



ახალი პროგრამა

მხატვრული ხელმძღვანელი და დამდგმელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ვრონსკი.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში. სპორტის სასახლეში მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე.

დასაწყისი 20 სთ. შაბათობით და კვირაობით — 13 და 20 საათზე.

ტელეფონით ცნობები: 36-20-54, 36-24-03, 36-01-55.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02690